საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 4 19 01962498

26/07/2019

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
III-IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს
(განყოფილების უფროსი)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2019 წლის 24 ივლისის №60-011920596 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა N6-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.18.05.001.006) ასაშენებელი სასტუმროს შენობის არქიტექტურული პროექტი, სახანძრო უსაფრთხოების მარეგულირებელ ნორმებთან, ტექნიკურ რეგლამენტებთან ან/და სტანდარტებთან შესაბამისობის ნაწილში.

წარმოდგენილი დაპროექტების დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებით დამტკიცებული წესებისა და „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის N52 დადგენილების მოთხოვნების შესაბამისად, შესამუშავებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებები, რომელთა პროექტში რეალიზება საგრძნობლად გაზრდის შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის ხარისხს და უსაფრთხოებას. კერძოდ:

1. შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის გათვალისწინდეს გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის არანაკლებ 100 მმ ქსელის მოწყობა, არანაკლებ ორი სახანძრო ჰიდრანტების მონტაჟით. გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალგაყვანილობის ქსელზე სახანძრო ჰიდრანტები დამონტაჟდეს სავალი გზის გასწვრივ, მისი კიდიდან არაუმეტეს 2,5 მ მანძილზე, მაგრამ შენობის კედლიდან არანაკლებ 5 მ დაცილებით. სახანძრო ჰიდრანტები ქსელზე ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი იქნას ხანძრის ჩაქრობა შენობის ნებისმიერ სათავსში. იმ შემთხვევაში, თუ განაშენიანების უბანში არსებობს წყალგაყვანილობის ქსელი და ქსელზე დასაპროექტებელი შენობიდან 200 მეტრის რადიუსში

საქართველო, 0114, თბილისი, ინგოროყვას ქ. № 7
ტელ: (+995 032) 2 28 78 40
ელ.ფოსტა: cepgeorgia@mia.gov.ge

№ 7, Ingorokva str. Tbilisi 0114, Georgia
Tel/Fax: (+995 032) 2 28 78 40
E-mail: cepgeorgia@mia.gov.ge

უკვე დამონტაჟებულია სახანძრო ჰიდრანტი, შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის ახალი სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა საჭირო არ არის.
საფუძველი: SP 8.13130.2009 პუნქტი 5.2 ცხრილი 2, პუნქტი 8.6; 8.10

2. სასტუმროს შენობის ყველა სართულზე ლიფტის შახტასა და კიბის უჯრედებში შესასვლელი კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი მიღებული უნდა იქნას ტექნიკური რეგლამენტის „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების 716.5 ცხრილის გათვალისწინებით.

3. სასტუმროს შენობის „8-9“ ღერძებში +0.00 ნიშნულზე საევაკუაციო გზაზე განლაგებული კარების გაღება გათვალისწინებული იქნას შენობიდან გასვლის მიმართულებით. „ტექნიკური რეგლამენტი შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილების პუნქტი 1008.1.9.11

4. ვინაიდან სასტუმროს შენობის კიბის უჯრედები უნდა იყოს დაუკვამლიანებელი, ამიტომ SP 10.13130.2009 პუნქტი 4.1.16-ის თანახმად, შენობა-ნაგებობის დაუკვამლიანებელ კიბის უჯრედებში სახანძრო ონკანების მოწყობა დაუშვებელია;

5. სასტუმროს შენობაში გათვალისწინებული იქნას ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობა.
საფუძველი: SP 5.13130.2009-ის დამატება „ა“ პუნქტი ა 1, ცხრილი ა.1

6. ვინაიდან, სასტუმროს შენობაში მოსაწყობია ავტომატური ხანძრის ჩაქრობის სისტემა, გათვალისწინდეს, რომ შესაბამისად საჭირო გახდება შენობაში ან შენობის გარეთ ადგილის გამოყოფა, ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის სახანძრო რეზერვუარისათვის და სატუმბო სადგურისათვის, რომლის მოწყობაც უნდა მოხდეს SP.5.13130.2009 პუნქტი 5.10.10 და 5.10.11-ის მოთხოვნების დაცვით;
საფუძველი: SP 5.13130.2009 პუნქტი 5.10.9;

7. ვინაიდან შენობის დაპროექტების დოკუმენტაციაში გაურკვეველია თუ რა საშუალებებით ხორციელდება ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების სათადარიგო ელექტრომომარაგება და კონკრეტულად არ არის ასახული ამ მოწყობილობების განთავსების ადგილი, ამიტომ გათვალისწინდეს, რომ თუ მოხდება შენობის რომელიმე სათავსოში გენერატორის განთავსება, დაცული უნდა იქნეს SP 4.13130.2013 პუნქტი 6.9.18-ის მოთხოვნა;

8. შენობაში გათვალისწინდეს ხანძრის შემთხვევაში ადამიანთა მაუწყებლობის, ევაკუაციის მართვის სისტემების და საევაკუაციო განათებების მოწყობა.
საფუძველი: SP 3.13130.2009 ცხრილი 2 პუნქტი 4; 17; SP 52..13330.2016 პუნქტი 7.6.3 და 7.6.9;

9. გათვალისწინდეს, რომ შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მიმღებ-საკონტროლო მოწყობილობების მონტაჟი, უნდა მოხდეს სათავსოში, ან შენობის იმ ფართობში, სადაც განხორციელდება მომსახურე პერსონალის ოცდაოთხსაათიანი მორიგეობა.

საფუძველი: SP 5.13130.2009 პუნქტი 12.1.2; 12.2.1;

10. ვინაიდან სამშენებლო დოკუმენტაციაში ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობის საკითხები განიხილება ტექნოლოგიური სქემების დონეზე და არა ამ სისტემების მოწყობისათვის შესაბამისი პროექტების შემუშავების გზით, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნიდან გამომდინარე, სამსახურს აუცილებლად მიაჩნია შემუშავებული იქნას შენობის ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების დაპროექტების დოკუმენტაცია და დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას განსახილველად, რომელიც უნდა შეიცავდეს:
ა) შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;
ბ) შენობის შიდა ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების მოწყობის პროექტი;
გ) შენობის ავტომატური სახანძრო სიგნალიზაციის მოწყობის პროექტი;
დ) შენობის კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობის პროექტი;
ე) შენობის ხანძრის ჩაქრობის ავტომატური სისტემის მოწყობის პროექტი;
ვ) შენობის ხანძრის შესახებ შეტყობინებისა და ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემების მოწყობის პროექტი;
ზ) შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემების მოწყობის პროექტი;
თ) შენობის ელექტროდანადგარების მოწყობის პროექტები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე წარმოდგენილი სამშენებლო დოკუმენტების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უზრუნველყოფილი უნდა იქნას შენობის პროექტში სათანადო ცვლილებების და დამატებების შეტანა, ხოლო კორექტირებული სამშენებლო დოკუმენტაცია დადგენილი წესის შესაბამისად წარმოდგენილი იქნას საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში შემდგომი განხილვისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისობის თაობაზე სათანადო დასკვნის მოსამზადებლად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ვარშანიძე როინ